EUROPEAN PRISON LITIGATION NETWORK

# ევროპის ციხეები: ადგილობრივი სამართებრივი სიახლეები

*პრაქტიკოსებისთვის ევროპის მასშტაბით შესაძლოა, რთული იყოს, მიჰყვნენ ციხის შესახებ პრაქტიკას, კანონმდებლობასა და აღმასრულებელი ხელისუფლების განვითარებას ციხის საკითხებთან დაკავშირებით. წინამდებარე შეჯამებაში* ***European Prison Litigation Network EPLN (ევროპული ციხის სამართალწარმოების ქსელი), მისი წევრები და პარტნიორები ევროპის მასშტაბით*** *მიზნად ისახავენ ადგილობრივი იურისტებისა და ევროპის მასშტაბით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ინფორმირებას ციხის საკითხებზე უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი მოვლენების შესახებ. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს საშუალებას მოგცემთ, უკეთ მოახდინოთ ევროპული ტენდენციების იდენტიფიცირება და გამოიყენოთ ისინი თქვენს პრაქტიკაში. შეჯამება მოიცავს* ***ევროკავშირის 14 წევრ ქვეყანას****, აგრეთვე* ***რუსეთს, მოლდოვას, უკრაინასა და საქართველოს.***

*ვენ მივესალმებით თქვენს უკუკავშირს, თუ როგორ ვაქციოთ ეს ბიულეტენი თქვენთვის უფრო სასარგებლოდ.*

## ციხის სამართლებრივი სიახლეების მიმოხილვა
## ოქტომბერ-ნოემბერი 2022

**გარესამყაროსთან კონტაქტი ■ გერმანიაში** ბავარიის ციხის აქტის ცვლილებები პატიმრებისთვის აფართოებს შესაძლებლობებს, ისარგებლონ სატელეფონო ზარებით და ასევე შემოაქვს ვიდეო ზარების შესაძლებლობა. **ლიეტუვაში**, იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული სასჯელთა აღსრულების კოდექსისა და წინასწარი დაკავების აღსრულების კანონის ცვლილებებით შესაძლებელია ციხის დირექტორებს მიეცეთ ძალაუფლება, შეზღუდონ პატიმრის უფლება წერილობით კომუნიკაციასა და სატელეფონო ზარებზე, აუკრძალონ პატიმარს საპატიმროდან დროებითი შვებულებით გასვლა და შეზღუდონ მათ კონტაქტი სხვა პატიმრებთან. ამ ცვლილებებით ისინი მიზნად ისახავენ მოახდინონ მომავალი დანაშაულების პრევენცია, დაიცვან სხვა პატიმრების უფლებები და თავისუფლება და უზრუნველყონ უსაფრთხოება პენიტენციურ ინსტიტუტებში.

**დაკავების პირობები ■** პატიმრების სიჭარბე კვლავ ენდემურია **ბელგიის** ციხეებში, ბოლო მონაცემების თანახმად ორასზე მეტ პატიმარს სძინავს მატრასებზე. ასევე **ბელგიაში** სასამართლომ დაავალა სახელმწიფოს შეამციროს ციხეებში სიჭარბე და დაასრულოს პატიმრობის ისეთი პირობები, რაც არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას უტოლდება ლანტინის ციხეში. **საფრანგეთში** უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ მოსმენის გარეშე უარი თქვა ადვოკატთა ადგილობრივი ასოციაციისა და ორი სამოქალაქო ორგანიზაციის მიერ შეტანილ განცხადებაზე ბორდოს ციხეში დაკავების პირობების წინააღმდეგ, ასევე **საფრანგეთში** პარლამენტის ქვედა პალატამ მიიღო ცვლილება, რომელიც ზრდის სამარტოო საკნის პრინციპის ცვლილებას შემდგომი 5 წლის განმავლობაში, 2027 წლის 31 დეკემბრამდე.
**უნგრეთში** ელექტროენერგიის ფასების კონტრბალანსისათვის მთავრობამ სახელმწიფო ინსტიტუტებს, მათ შორის პენიტენციურ დაწესებულებებს დაავალა, არ დაეყენებინათ გათბობა 18 გრადუს ცელსიუსს ზემოთ. ამ გადაწყვეტილებას დრამატული შედეგები ჰქონდა პატიმრების საცხოვრებელ პირობებზე.

**დაკავების რეჟიმი ■ მოლდოვაში** სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა განესაზღვრა დაკავების რეჟიმები პატიმრებისათვის, ჩამოყალიბდა ისე, რომ ადგილობრივი კანონი შესაბამისობაში მოეყვანა ციხის საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან, რისი ვალდებულებაც თავად ქვეყანას აქვს აღებული.
**ესპანეთში** ძალაში შევიდა ახალი კანონი, რომელიც ზღუდავს სექსუალურ აგრესიაში ბრალდებულ პატიმართა დაშვებას ღია ტიპის რეჟიმზე. კანონი ასევე ცვლის სექსუალური აგრესიის ცნებას, ამცირებს ასეთი დანაშულებისთვის სასჯელის მინიმალურ ზღვარს და ადმინისტრაციას აკისრებს ვალდებულებას, მოახდინოს სექსუალური აგრესიის პრევენცია ციხეში.

**გამოხატვის თავისუფლება ■ გერმანიაში** რეგიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ციხის ადმინისტრაციის უარი, გაეაქტიურებინა ჟურნალისტის ტელეფონის ნომერი სამინისტროს დირექტივის შესაბამისად, იყო უკანონო, რადგან გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციურ უფლების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კანონის საფუძველზე.

**ჯანმრთელობა ■ გერმანიაში** რეგიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ნიღბის ტარების აკრძალვა, რაც ციხის ადმინისტრაციამ დაადგინა რეზიდენტული ზრუნვის ჯგუფური სესიების დროს, იყო უკანონო, რადგან ციხის გარეთ მოქალაქეები ინარჩუნებდნენ უფლებას, ეტარებინათ ნიღაბი ისეთ ადგილებში, სადაც ის სავალდებულო აღარ არის. **მოლდოვაში**, შეხვედრები ჩატარდა მინისტერიალისა და საპარლამენტო დონეებზე ციხის ჯანდაცვის სახელმძღვანელო მარეგულირებელი ჩარჩოს საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის რეფორმების განსახილველად.

**უვადო პატიმრობა ■ უკრაინაში** ორი კანონი ცვლის უვადო პატიმრების გათავისუფლების წესს. პატიმრებს, რომლებიც იხდიან უვადო სასჯელს უკრაინაში, აქამდე არ ჰქონიათ გათავისუფლების პერსპექტივა, რაც ECtHR-ის სტანდარტებს არღვევდა. რეფორმამ გამოიწვია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კრიტიკა.

**მონიტორინგის ორგანოები ■ გერმანიაში**, ბერლინის უმაღლესმა რეგიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კოვიდ-19 პანდემიის კონტექსტში მთავრობის ზომების კრიტიკის მიზეზით ბერლინის ვიზიტორთა ციხის საბჭოდან ექიმის გათავისუფლება არღვევდა მისი გამოხატვის თავისუფლებას.

**პირადი ნივთები ■ ჩეხეთში**, მთავრობამ წარადგინა ცვლილებები ვალების აღდგენის შესახებ ახლახან შემოღებული წესების გადასინჯვისათვის, რაც ციხის ადმინისტრაციას უფლებას აძლევდა დაეკავებინა პატიმრებისთვის კალენდარული თვის განმავლობაში გაგზავნილი მთლიანი თანხა და შესაბამისად, უარყოფითი გავლენა ჰქონდა პატიმრების დანაზოგებზე.

**პრევენციული დაკავება ■ ავსტრიაში,** ცვლილებები იქნა მიღებული პრევენციული დაკავების სისტემის რეფორმის მიზნით, დროის შეზღუდვის გარეშე, ფსიქიკურად დაავადებული ადამიანებისათვის, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული და რომელთა ფსიქიატრიული დასკვნის მიხედვით, მათ შესაძლოა დანაშაული კვლავ ჩაიდინონ. ცვლილებები კრიტიკის ქვეშ მოჰყვა პრევენციული დაკავების მაქსიმალური დროის განუსაზღვრელობის გამო და აგრეთვე იმის გამო, რომ ცვლილებები ვერ ახერხებდა შეემცირებინა კრიტერიუმები პრევენციულ დაკავებაში მყოფ პირთა რაოდენობის შესამცირებლად.

**ციხის კანონი ■ საბერძნეთის** პარლამენტმა მიიღო რეფორმა, რომელიც ცვლიდა პენიტენციურ კოდექსს, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წელს. ახალ კანონს შემოაქვს პატიმართა პროცედურულ და არსებით უფლებებთან დაკავშირებული სხვადასხვა ცვლილებები, მაგრამ რეფორმა გაკრიტიკდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ, რადგან ვერ მოახერხა რეაგირება მოეხდინა ქრონიკულ ნაკლოვანებებზე, რაც ბერძნულ ციხეებზე ახდენს გავლენას და შესაბამისად, ზღუდავს პატიმრების უფლებებს.
**პოლონეთში** საჯარო კონსულტაციები ჩატარდა ციხის მიმდინარე პროგრამის ფარგლებში მისაღები რეგულაციების შესახებ. პირველი რეგულაცია ავალდებულებს პატიმრებს გადაიხადონ ყოველთვიური ფიქსირებული განაკვეთი საკანში არსებული ყოველი დამატებითი ელექტრონული მოწყობილობისთვის. მეორე ცვლილება გადასახადს აწესებდა ბრალდებულებისა და წინასწარი

პატიმრობის ქვეშ მყოფებისათვის მათი პირადი კორესპონდენციისათვის და, ციხის დირექტორის შეხედულებისამებრ, უზრუნველყოფდა ქაღალდებსა და კონვერტებს პატიმრებისათვის მათი პირადი კორესპონდენციისათვის.

**პატიმრები საომარი მდგომარეობის დროს ■ რუსეთში** ცვლილებები შევიდა მობილიზაციის აქტში, მძიმე დანაშაულებში ბრალდებულ პირთა მობილიზაციის დასაშვებას, რაც ადრე აკრძალული იყო. ეს ცვლილება შეიძლება ჩაითვალოს, როგორც სამართლებრივი საფუძველი პატიმართა მომავალი გაწვევისთვის, ან უკრაინაში ათასობით მსჯავრდადებულთა დისლოკაციის უკუქმედებით ლეგალიზება.

**კერძო და ოჯახური ცხოვრება ■** ჟეგედის (Szeged), **უნგრეთი,** რეგიონულმა სასამართლომ უარი უთხრა პატიმარს კერძო და ოჯახური ცხოვრების დარღვევის მიზეზით ზიანის ანაზღაურებაზე რაც შედეგად მოჰყვა სატელეფონო ზარების მაღალ ფასს, და ღამის განმეორებით შემოწმებებს.

**პროცედურული უფლებები ■ პორტუგალიის** საკონსტიტუციო სასამართლომ გამოაცხადა, რომ სამართლებრივი დებულება, რომლის მიხედვითაც პირობით ვადაზე ადაპტაციის მოთხოვნის უარყოფის შესახებ გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება, ცნობილ იქნა არაკონსტიტუციურად. აგრეთვე **პორტუგალიაში** სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ პატიმარს, რომლის ციხის სასჯელის აღსრულება შეჩერდა და უნდა გაუქმდეს, გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა მოუსმინონ.
**უნგრეთის** უზენაესმა სასამართლომ აღადგინა, გათავისუფლებულ პატიმრებს შეუძლიათ კომპენსაციის მოთხოვნა პირდაპირ სასამართლოს გზით, ციხის ადმინისტრაციის გავლის გარეშე.

**სასჯელის კორექტირება ■ ჩეხეთის რესპუბლიკის** საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა რეგიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც უარი ეთქვა პატიმარს პირობით გათავისუფლების შესახებ განცხადებაზე მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ის იყო განმეორებითი დანაშაულის ჩამდენი, ციხეში ყოფნის დროს საზოგადოებაში რეინტეგრაციის მისი მდელობების გათვალისწინების გარეშე.

**სოციალური უფლებები ■ საფრანგეთში** *განკარგულება,* რომელიც ავსებს 2021 წელს მიღებულ კანონს აახლოვებს პატიმართა სოციალურ უფლებებს საერთო მოსახლეობის უფლებებთან და შედეგად წარმოშობს ფრანგული შრომის კოდექსისა და სოციალური უსაფრთხოების კოდექსის გაზრდილ გამოყენებას პატიმრობაში.

**წამება ■ ესპანეთის** უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა ერთ და სამ წლიანი თავისუფლების აღკვეთა ციხის ორი ოფიცრის წინააღმდეგ რომლებიც დამნაშავედ იქნენ ცნობილნი წინასწარ პატიმრობაში მყოფის წამებაში. გადაყვეტილებამ უარყო ბრალდებულთა მტკიცება, რომ პატიმარზე განხორციელებული წამება არ იყო იმდენად მძიმე, რომ დაკვალიფირებულიყო, როგორც წამება, წამების განაშაულის დამახასიათებელ ტელეოლოგიურ ელემენტზე დაყრდნობით (ამ შემთხვევაში მსხვერპლთა დასჯა იმ ქმედებებისთვის, რომელთა ჩადენაში ისინი არიან ეჭვმიტანილნი).

---

სრული გამოცემა იხილეთ ჩვენს ვებ-გვერდზე >>

---

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენს წევრებს და ასოცირებულ პარტნიორებს ბიულეტების ერთობლივად შედგენისათვის! წევრებს და ასოცირებულ პარტნიორებს

www.prisonlitigation.org
21ter rue Voltaire

75011 Paris

France
contact@prisonlitigation.org

წინამდებარე საინფორმაციო ბიულეტენი დაფინანსებულია ევროკავშირის, UNAIDS და რობერტ კარის ფონდის მიერ. თუმცა, აქ გამოხატული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნით მხოლოდ ავტორებს და აუცილებლად არ ასახავს ევროკავშირის, ევროკომისიის, UNAIDS ან რობერტ კარის შეხედულებებსა და მოსაზრებებს. ევროკავშირი, ევროკომისია, UNAIDS და არც რობერტ კარის ფონდი არ შეიძლება იყოს მათზე პასუხისმგებელი.